ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ვპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცთა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 14 1883—1904 30 ივლისი

ეკკლესიების შენობის საქმის შეფერხების შესახებ ქუთაისის გუბერნიაში.

ომ შეადაროს კაცმა იმერეთის ეპარქიაში, ერთი საუკუნის განმავლობაში, ძველად და ახლად აშენებული ეკკლესიები დიდ განსხვავებას ნახავს. ძველი ეკკლესიები როგორც ხისა ისე ქვითკირისა მეტად განსხვავდებიან ახლად აღშენებულთაგან. წინეთ აშენებდენ ეკლესიებს მორჩილი ტანისას და გეგმას ვინღა დაეძებდა. დღეს ეკლესიები შენდებიან დიდრონი და ბევრად თუ ცოტად ჩინებული გეგმით.

განსვენებული ეპისკოპოსი გაბრიელი მაინც და მაინც არ უგდებდა ყურს გუბერნატორების მოთხოვნილებას, რომ ეკლესიების შენება გუბერნის საშენებელი განყოფილების ნება დაურთველად და გუბერნატორისაგან დაუმტკიცებელი გეგმით არ შეიძლება. ეპისკოპოსმაც და გუბერნატორებმაც კარგად იცოდნენ ხალხის გაჭირვება და ღარიბ სამრევლოს ნება ეძლეოდა დაუმტკიცებელი გეგმით აეშენებიათ თვიანთი ეკლესიები. ამისთანა სიღავათის წყალობით ბევრი ეკკლესიები აღშენდნენ იმერეთის ეპარქიაში. სადაც სამრევლონი ცოტა შეძლებული იყო იქ ყველგან ეკკლესიები გუბერნატორებისაგან დამტკიცებული გეგმით შენდებოდა...

ყ-დ სამღვდელო ლეონიდის განკარგულებით, რევიზიის მოხდენის შემდეგ მაინც, მათის მეუფების შეგონებით და განკარგულებით მრავალ ადგილას დაიწყეს ახალი ეგკლესიების შენება და ხალხიც მეტის მეტად სიხარულით შეუდგა ნაცვლად პატარა სახლების მსგსესი უმგვანოდ აშენებული ტაძრებისა მშვენიერი გეგმით ეკკლესიების შენობას. მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ, სამწუხაროდ, ქუთაისის გუბერნატორის უკანასკნელმა განკარგულებამ თითქმის მთელს იმერეთში ეკლესიების შენების საქმე შეაფერხა. გუბერნატორმა მაზრის უფროსებს გაუგზავნა ცირკულიარული მიწერილობა, რომ პოლიციამ არ მისცეს ნება ეკკლესიების და სხვა შენობათა მუშაობისა თუ ეკლესიის, ან სხვა შენობათა გეგმა არ იქნება დამტკიცებული გუბერნატორისაგან და თუ შენობას ზედამხედველი არ ეყოლება ნასწავლ და უფლება მქონე პირთაგან. ამასთან დაეკალა მაზრის პოლიციას, რომ შენობის გათავება უნდა მოხსენდეს გუბერნატორს, რომ მან გამოგზავნოს ხუროთმოძღვრები შენობის შესამოწმებლად და როცა ამ პირთაგან შენობა მოწონებული იქნება მას უკან შეიძლება წირვა-ლოცვის შესრულება და საზოგადოდ შენობის მიღებაო. ეს განკარგულება კარგი და კეთილია, მაგრამ ჩვენში ჯერეთ ამისი ასრულება შეუძლებელია. დღეს იმერეთში სხვა-და-სხვა ადგილას ასი ეკკლესია შენდება და სად არიან ამდენი ნასწავლი ტეხნიკოსები, რომ შენობას უყურონ ყველგან და ზედამხედველობა იქონიონ? როცა ეკლესია არის შესამოწმებელი რომელიმე სოფელში თვეობით უნდა უცადოს კაცმა ხუროთმოძღვარს, რადგან იგინი ბევრნი არ არიან და ერთი ყველას ვერ გაუვა... ამ ზემოხსენებულ განკარგულებას კიდევ ზედ დაეერთო წამლის მოპოების გაძნელება და ქვის ტეხის უფლების მიღება!.. საზოგადოდ რომელი მუხლებიც შეეხება ხაზინის ინტერესს და ხუროთმოძღვრების სარგებლობას ისინი დაწვრილებით არიან მოყვანილნი თავიდან ბოლომდის, მაგრამ თუ შენობის წესდებათა მუხლები რამე სასარგებლოს ამბობს გაჭირვებულ და ღარიბ სამრევლოთა სასარგებლოდ ისინი საიდუმლოდ და განუმარტებლად რჩებიან... დიაღ, ვალდებულია გუბერნიის შენობის განყოფილება უფასოდ შეუდგინოს ღარიბ მრევლს ეკკლესიის გეგმა, მაგრამ ეს არასოდეს არ მომხდარა და არც მოხდება... ნურავინ ნუ იფიქრებს იმას, რომ ჩვენ ვითომც წინაალმდეგი ვიყოთ შენობათა წესდებულების მუხლებისა. ეს მუხლები ძლიერ კარგათ არიან დაწერილნი, მაგრამ სისრულეში არ მოყავსთ თვით ხუროთმოხლვართ. რამდენი უვარგისი შენობებია შემოწმებული მტკიცე შენობად? რამდენი დამგვრეულა თვით ხუროთმოძღვრების ზედამხედველობით ნაშენი შენობები? ხუროთ მოძღვარი თავს არ ადგა ქუთაისის რეალურის სასწავლებლის შენობას, რომ იგი ჩამოიმგვრა და თვით ხუროთმოძღვარი კინაღამ არ მოყვა ნანგვრევში?.. ამდენი ხანია ჩვენში ეკკლესიებს აშენებენ, მაგრამ ალბა მიგვიოთითონ რომელი დაიმგვრა?

არის მეორე გარემოება რომელსაც ყურადღება უნდა მიაქციოს მთავრობამ. უწმიდესმა სინოდმა ამას წინათ გამოსცა ატლასი, რომელშიაც მოთავსებულია ხისა და ქვოკირის ეკკლესიების გეგმები. ამ გეგმებისამებრ შენდებიან ჩვენში მრავალ ადგილას ეკკლესიები. მრევლთა უნდა გადმოიღონ ეს გეგმები და წარადგინონ გუბერნიის შენობათა განყოფილებაში. იმედია, რომ ამ გეგმებს ვერავინ ვერ დაიწუნებს. ამ გეგმებს აკლია სმეტა, მაგრამ სმეტა ჩვენს სამრევლოისათვის სრულებით საჭიროც არ არის, რადგან ჩვენში ეკლესიები ეკონომიურის სახით შენდებიან და ვაჭრობით არ მიიცემიან და თუ გაიცემა იშვიათად, ვაჭრობის დროს არავინ სმეტით არ ხელმძღვანელობს.

სასულიერო მთავრობამ უნდა მიიღოს ზომები, რომ ეკკლესიების შენობების საქმე არ შეფერხდეს. ამისათვის საჭიროა: 1) მოუწოდონ რომელიმე ხუროთმოძღვარს და შეურიგდენ ეკლესიის გეგმების და შენობათა ზედამხედველობის საქმის ასასრულებლად, როგორც სხვა ეპარქიებში იქცევიან; 2) ვინაიდგან ჩვენში ნასწავლი ტეხნიკოსები არ არიან ეკლესიები შემოწმებული იყოს გუბერნიის ხუროთ მოძღვრებისაგან გათავების დროს და თუ რამე ნაკლი აქვს აღმაშენებელ კომიტეტს შეასრულებინოს და 3) გამოითხოვონ ნებართვა, რომ მრევლთა მიეცეს ნება სინოდისაგან შედგენილ ატლასში ნაჩვენები გეგმებით ეკკლესიის შენებისა და საკმარისად ჩაითვალოს ამ გეგმათა პირის წარდგენა გუბერნატორებთან. ამასთან როცა ერთ ადგილას დამტკიცებული გეგმით ეკლესიაა აშენებული ნება მიეცესთ ამ გეგმით მეორე ადგილას აშენდეს ეკლესია, რასაკვირველია ადგილის შემოწმებით. საზოგადოდ ყურადღება უნდა იყოს მიქცეული, რომ ხუროთ მოძღვართა სარგებლობისათვის ეკლესიების შენობათა საქმე არ შეფერხდეს.

დეკ. ლ. დამბაშიძე.

✿ ეკლესია ✿

თავი პირველი.

II.

კანონ-მდებლობა, გამგეობა და სამართალი.

(გაგრძელება*)

ადამიანთა კანონებისაგან საეკლესიო კანონი, ჩამომავლობის გარდა, თვისი მნიშვნელობითაც განსხვავდება. მაშინ როცა კაცობრივი კანონი თვის მნიშვნელობას ნივთიერ ძალაზე ამყარებს, რომელიც მზად არის მისი დამარღვეველნი დასაჯოს, ესე იგი ნივთიერივე ზიანი მიაყენოს მათ,—საეკლესიო კანონს თვისი ზნეობრივი ავტორიტეტის მეტი არავითარი საყრდნობელი არა აქვს. საეკლესიო კანონი ძალდატანებით კი არ ეძლევა კაცს, არამედ სრულებით თავისუფლად მიიღება.[1]) მას გარეგნული მიუცილებლობის გამო კი არ ასრულებენ, არამედ იმ შინაგანი რწმენისა და შეგნების ძალით, რომ იგი საღმრთო ჩამომავლობისაა, წმიდა, კეთილი და ცხოვნებისათვის მიუცილებელათ საჭიროა. მაგრამ ამისგამო ის როდი არაფერს კარგავს, არამედ კიდევაც მეტ ძალასა და გავლენას იძენს ადამიანის ნებულობაზე. ადამიანთა თვით-ნებლობის გარეგნულათ შემზღუდველ სახელმწიფოებრივ კანონს ხშირათ სრულიათ უნებლათ აუვლიან ხოლმე გვერდს, ყოველ ღონეს მაინც ხმარობენ გვერდი აუარონ,—და თუ ამას ვერ ახერხებენ, ყოველ შემთხვევაში, რაკი თვისი ცოდვილი სურვილის შესრულებას მოინდომებენ, სახელმწიფოებრივი კანონის სასჯელთა წინაშე აღარ ჩერდებიან. თავისუფალი რწმენით მიღებული ქრისტიანობრივი კანონი ადამიანის მთელ შინაგან არსებას ეთვისება, მის ნებას, სურვილებსა და აზრებს იპყრობს და მთელი მისი სულიერი ცხოვრების მამოძრავებელი ხდება. ცხადია, კანონის ასრულების საქმე აქ უფრო უზრუნველ-ყოფილია, ვინემ იქ, სადაც მას გარეგნული ძალდატანებით ემორჩილებიან. ამას გარდა სჯულ-მდებლის ავტორიტეტი ეკლესიაში გაცილებით უფრო მაღლა სდგას, ვინემ კაცობრიულ საზოგადოებათა სჯულ-მდებლის ავტორიტეტი. მორწმუნე ადამიანისათვის ნება ღვთისა ყველაფერზე უმაღლესი და უწმიდესია. არავითარ ქვეყნიურ და ზეციურ სიკეთეთათვის იგი მას არ დაარღვევს, ვერავითარი ძალა და სატანჯველი მას ვერ აიძულებს საღმრთო კანონი დაარღვევინოს.[1]) ამის თვალსაჩინო მაგალითს ქრისტიანთა სამ-საუკუნოვანი ტანჯვა-წამება წარმოადგენს, რომელიც მათ ქრისტეს სჯულის გულისათვის გასაოცარის მამაცობითა და ურყეველობით აიტანეს. როცა მთელი საამქვეყნო ძლიერებით მოსილი მტანჯველები, იარაღით ხელში, ქრისტიანებს აიძულებდენ ქრისტეს სახელი უარ-ეყოთ და იმპერატორის ბრძანების თანახმად წარმართთა ღმერთებისათვის თაყვანი ეცათ,—ქრისტიანები მტკიცეთ და დამშვიდებით უპასუხებდენ: „არ შეგვიძლია ქრისტეს სჯულს უღალატოთ; არ შეგვიძლია ღვთისმსახურებითი შეკრებილებანი უარ-ვყოთ, რადგან ევხარისტიის შეუსრულებლობა არ შეიძლება; ამას გვბრძანებს ჩვენი სჯულიო“[2]) და სხვ.—და სიხარულით ეგებებოდენ ტანჯვასა და სიკვდილს.

ეკლესიის წევრთაგან ქრისტეს კანონის შესრულებაზე თვალ-ყურის საქერათ და სული-წმიდის მადლთა დასარიგებლათ ეკლესიაში დადგენილია განსაკუთრებული ხელის-უფლება (власть). ამ ხელისუფლებას, როგორც თვით ეკლესიას, არაფერი საერთო არა აქვს საერო ხელის-უფლებასთან. როგორც თვით ეკლესიას, მასაც დამოუკიდებელი ჩამომავლობა აქვს. იგი თვით იესო ქრისტესაგან დაარსებულია ეკლესიასთან ერთად,—და მას აქეთ მემკვიდრეობით (преемственно) გადმოიცემის წმ. საიდუმლო მღვდელობაში.[3]) იგი კაცთა ხსნის საქმეს განაგრძობს, რომელიც იესო ქრისტემ ქვეყნად ცხოვრების დროს შეასრულა. მაგრამ საეკლესიო მთავრობა (იერარხია) დამოუკიდებლათ კი არ განაგებს ეკლესიას, არამედ მისი სულიერი თავის ქრისტე-მაცხოვრის უხილავი ხელმძღვანელობით. ეკლესიის თავი, თვისი უტყუარი აღთქმის თანახმად, ზეცად ამაღლების შემდეგაც მორწმუნეთა შორის იმყოფება სულიერათ, ეკლესიას უხილავათ განაგებს და თვით

*) იხ. „მწყემსი“ № 11—13, 1904 წ.

1) Tertul. De idol. 12, 24.—ოქროპირი, Бесѣды на Матѳ. I, 358.

1) რომაელთა, 8, 35—39.

2) Ruinart. AAa. martyrum. p. 386, 387. 549. 405. 424. 428. 598. 502. 550. Acatera.

3) ლუკ. 6, 13; 9, 16; მათ. 28, 18—20; იოან. 20, 21—23; მარკ. 16, 15; საქმ. მოც. 1, 26; ეფეს. 4, 11; ⁂ სხვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსთა მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებს.[1]) საეკ-ლესიო მწყემსნი მხოლოდ ზედამხედველნი არიან ქრისტეს სამწყსოსი და თვით ქრისტეს სამსახურს ასრულებენ.[2]) იგინი მხოლოდ ხილული ეპისკოპოსები არიან, უხილავი საზოგადო ეპისკოპოსი კი თვით ქრისტეა. როცა საეპისკოპოსო კათედრა თავისუფალია (დაცლილია), ეკლესიის გამგეობა უხილავ ეპისკოპოსზე გადადის.[3]) საეკლესიო მწყემსნი ღვთის საქმეს ღვთისავე ძალით ასრულებენ, რომელიც მათ ხელდასხმის დროს წმ. საიდუმლო მღვდელობაში აქვთ მიღებული.[4]) ამ რიგათ, საეკლესიო მწყემსთა ხელის-უფლება როგორც ჩამომავლობით, ისე უფ-ლებით (полномочія), საღმრთო ხელის-უფლებაა, მაშასადამე საერო ხელის-უფლებაზედაც იმდენათ მაღლა სდგას, რამდენათაც მაღლა სდგას სული ხორცზე, ცა — დედამიწაზე და ღმერთი—კაცზე.[5]) მაგრამ მისი სიმაღლე ქვეყნიური საზომით კი არა, არამედ ზეციური საზომით გაიზომება. საეკლესიო ხელის-უფლება ზეციურ საგნებს განაგებს და არა ქვეყნიურს. ამ ქვეყნის საქმეები მას არ შეეხებიან, მის უფლებაში არ შედიან. არ შეიძლება საეკლესიო ხელის-უფლების სიფართოვეზე მსჯელობაში ქვეყნი-ურ ურთიერთობათა თვალთახედვის ისრით ვიხელ-მძღვანელოთ და საერო ხელის-უფლება და მას შორის რაიმე მსგავსება უჩვენოთ. აგრეთვე არ შე-იძლება საეკლესიო ხელის-უფლება იმ სახით და მნიშვნელობით წარმოვიდგინოთ, რა სახითაც საერო ხელის-უფლება გვაჩვენება. საეკლესიო ხელის-უფ-ლება თვისი ხასიათით სრულიად არა ჰგავს საერო ხელის-უფლებას. მაშინ, როცა უკანასკნელთან აუ-ცილებლათ შეერთდებულია ბატონობისა და ხელმწი-ფური განკარგულების ცნობა, — საეკლესიო ხელის-უფლება თვისი ძირეული თვისების მიხედვით კაცთა ხსნის საქმის სამსახურია.[6]) საეკლესიო მწყემსი მის-თვის კი არ არის დაყენებული, რომ მას ემსახურონ, რა მხრითაც გინდა იყოს, არამედ მისთვის, რომ სხვებს თვითონ ემსახუროს, ისე როგორც ქრისტე ამისთვის კი არ მოსულა, რომ მისთვის სხვებს ემსა-ხურნათ, არამედ მისთვის, რომ თვით ემსახურნა და მიეცა სული თვისი „სახსრად მრავალთათვის“.[1]) საეკლესიო მწყემსი თვისი სამწყსოს ბატონი კი არ არის, სამწყსო მისი სამფლობელო კი არაა, — არამედ ის ღვთის მსახურია, ღვთის სამკვიდრებელის ზედამხედველად დაყენებული, რათა დაიცვას იგი, დაიმუშაკოს და აღზარდოს „სიზომად ჰასაკისა სავ-სებისა მის ქრისტესისა» (ეფეს. 4, 13).[2]) თვის

1) მათ. 28, 20; ლუკ. 10, 16; კოლას. 1, 18; 2, 19; ეფეს. 1, 22—23; 4, 11—16; 5, 23—25; გამოცხ. 1, 5. 11. 20; 2—3

2) Игн. Бог. къ Ефес. 6; къ Магнез. 3; къ Филад. 9.

3) Игн. Бог. къ Магнез. 3; къ Римл. 9.

4) იოან. 20 21—23; ლუკ. 24. 49; 2 ტიმ. 1, 6.

5) Иоанн. О священствѣ кн. III; Слава на разн. случаи 1, 165.

6) 1 კორ. 3, 5. 9; 4, 1; 2 კორ. 6, 4; 1 თესალ. 3, 2; ეფეს. 3, 7; 4, 12; კოლას. 1, 7. 23. 25; 4, 7. 17; საქმ. მოც. 6, 2—4; 11, 29; 12, 25; 13, 1. 15; Климентъ къ Коринѳ. 43. 44.

1) მათ. 20, 21—18; 23, 8—12; ლუკ 22, 24-27; იოან. 13, 12—16.

2) შეადარე **1 პეტრესი V, 1—3**: „მწესიდთ თქვენ შორის სამწყსოსა მას ღვთისასა, იდგოდით ნუ ძალუბითი, არამედ ნებისთ, ნუცა სარგებლისა შეძინებითი, არამედ გულს მოდგინეთ; ნუცა ვითარცა ეუფლებოდეთ მნეთა მათ, არამედ სახე ექმნენითო სამწყსოსა მას“.

ორიგენი: in isaiam hom. VI, 1: „ეპისკოპოსი ეპისკოპოსობას ბატონობისთვის კი არ დებულობს, არამედ სამსახურისთვის“ — in Matth. 61: «ეპისკოპოსი ღვთის წინაშე სტოდავს, თუ სამწყსოს განაგებს როგორც უფალი და არა როგორც თანა-მონა».

იოანე ოქროპირი: Бесѣд. на Ефес. 195: „ჩვენ არა ვფლობთ თქვენს სარწმუნოებას და არც ბა-ტონურად გიბრძანებთ ამას. ჩვენ დადგენილი ვართ იმის-თვის, რომ სიტყვით კამოძღვროთ და არა მისთვის, რომ ეუფლოსოდ და თქვენ შესასვლა თავთ-მფლობელურად ვახდინოთ განკარგულებანი; ჩვენი სიქმე — რჩევა მოგტეო და შეეკაზოთ; მრჩეველი კი მხოლოდ მას ამბობს, რაც უნდა თქვას, მაგრამ მსმენელს ძალა რადი ატანს, არა-ფად სრულს თავისუფლებას აძლევს — უნდა, მისი რჩევა მიიღოს, — უნდა ნუ მიიღებს. იგი მხოლოდ მაშინ იქნება დამნაშავე, უკეთუ არ ეტყვის, რაც მინდობილი აქვს!“.

О священствѣ кн. II, „ქრისტიანებს ნება არა აქვთ ტოდვილთა შეტდომანი ძალით გასსწორონ. საერო მსჯელობა დამნაშავეებს განანებინებ მიხედვით ეპ-ურობიან, დიდს ხელის უფლებას იჩენენ და, მათი ნების წინააღმდეგ, ხელს უშლიან იმ წესებს მისდიონ, რომ-ლებსაც უმეტეს მიხვეული არიან, — აქ კი (ე. ი. ეკლესიაში) გასწორება ძალდატანებით კი არ უნდა სწარმოებდეს, არამედ ჩაგონებით და დაჯერებით».

Ruinart, ACa martyrum p. 155: ლეკის ლეგ-ნუელებს დრმა აეტი-ეპისკოპოსს ერთმა მსჯელმა მოსთხოვა — შენ სამწყსოს უბრძანე კერპებს მსხვერპლი შესწიროონ. ეპისკოპოსმა მიუგო: მორწმუნენი ჩემი «წამებ-ოოთეთ კი არ განიგებიან, არამედ ღმრთის მტერ-ებითო; და ჩემსს მხოლოდ მაშინ კიკონებენ, რაცა სამართლიანს ურჩევ რასმე, თორემ წინააღმდეგ შემთხვე-ვაში ჩემ რჩევას ახლოსაც არ მიეკარებენო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწყოს იგი ისე ეპყრობა, როგორც მზრუნველი მწყემსი, რომელიც თვის ცხვრებს თავს დასტრიალებს, ყველას იცნობს, მგლებისგან იფარავს, და თუ რომელიმე მათგანი ფარას დაშორდება და გზას დაჰკარგავს, მაშინ იგი ყოველ ზომას იხმარს, თავს არ დაიზოგავს, ოღონდაც დაკარგული მოძებნოს— და თუ ჰპოვა იგი, დაისვამს მხრებზე და სიხარულით მოიყვანს ფარაში;[1]) თვის სამწყოს ის უცქერის როგორც კეთილი მამა, რომელიც მზად არის თვის შვილთა საკეთილდღეოთ, რაც კი შესაძლებელია, ყველაფერი მოიმოქმედოს, არ ზოგავს არც თხოვნას, არც მუდარას, როცა ხედავს, რომ საჭიროა კეთილ ყოფაქცევაზე მათი დაყენება და ცუდი საქციელისაგან მათი დარიდება; თვის სამწყოსთან ის მშვიდი და ალერსიანია, როგორც ნაზი ძიძა თვის აღზრდილთან;[1]) ერთი სიტყვით სამწყოს გულისთვის საეკლესიო მწყემსი თვის თავსაც კი ივიწყებს, მზად არის მათი ცხოვნებისათვის, რაც კი შესაძლოა, ყველაფერი შეასრულოს, და, თუ საჭიროება მოითხოვს, მისთვის სულიც კი გასწიროს. ამგვარი ხასიათის მქონე საეკლესიო ხელის-უფლება, ცხადია, გარეგანს ძალაზე კი არ არის დაფუძნებული, არამედ, როგორც ქრისტიანობრივი კანონი, ისიც მხოლოდ თვის ზნეობრივ ავტორიტეტზეა დამყარებული. „რომელმან თქვენი ისმინოს, ჩემი ისმინა; და რომელმან თქვენ შეურაცხ-გყვნეს, მე შეურაცხ-მყოფს; და რომელმან მე შეურაცხ-მყოს, შეურაცხ-ჰყოფს მომავლინებელსა ჩემსა“.[2]) აი სად არის საეკლესიო ხელის-უფლების ავტორიტეტის საფუძველი. ვისაც ღმერთი და მისი მხოლოდ-შობილი ძე სწამს, ის, რასაკვირველია, მისგან დაწესებულს მწყემსთაც შეიწყნარებს, გაუგონებს და პატივსა სცემს. მორწმუნე ადამიანისათვის საეკლესიო მწყემსთადმი პატივისცემაში ღვთის ნების უმჯობესი და უმაღლესი საფუძველი შეუძლებელია. ამიტომაც ძველი დროის საეკლესიო მასწავლებლნი მორწმუნეებს პირდაპირ მცნებად უდებდენ—თვის მწყემსთათვის ისეთივე პატივი ეცათ და ისე დამორჩილებოდენ, როგორც თვით ღმერთს, როგორც უფალს იესო ქრისტეს ჯ მის მოციქულებს.[3]) რასაკვირველია

---

1) იოან. 10, 1—16; ლუკ. 15, 1—10; მათ. 18, 10—14.—ისტორიკოსს ევსევის ნაამბობი აქვს ერთი შესანშნავი შემთხვევა მოციქულისა და მახარობელის იოანე ღვთისმეტყველის ცხოვრებიდან, რომელიც ქრისტეს ცხოვართა მწყემსს მშვენიერთა ახასიათებს. ერთხელ, მცირე-ასიის ეკლესიათა დათვალიერების დროს, მოციქულმა იოანემ ერთ ეპისკოპოსს ერთი ჭაბუკი მაბარა და სთხოვა მისთვის განსაკუთრებული ყურადღება მიექცია. ჭაბუკმა ქრისტეს სარწმუნოება მიიღო და მოინათლა. მაგრამ შემდეგ გარეგანი ემაწყვიდების საზოგადოებაში ჩავარდა, რომელთაც იგი ო�ეკვეკვარ საზიზღრობამდე მიიყვანეს, ისე რომ მან თვისი სხნის იმედი დაჰკარგა და, და ბოდიშ, აჩადთა ბრბოს წინამძღოლი შეიქნა. რაც მოციქულმა მორეთ დათვალიერა მცირე-ასიის ეკლესიები, ეპისკოპოსს ამ ჭაბუკის შესახებ შეეკითხა, და რაც მისი სამწუხარო ბედი შეიტყო, დრმა მწუხარების ნიშნთა, ტანისამოსი შემოიგლეჯა, იმ ჭამსვე უბრძანა ცხენი და წინ-გაემძღოლი მოეგვარა,—და დაეთხოვნებლივ მოეთხოვა კაეშური. რაც დანშულ ადგა მიეგალ, იოანე ეაჩადთ მოწინავე დარაჯებმა დაიჭირეს და თავის უფროსს წარუდგინეს. რაც უკანსკნელმა თავის წინ მოციქული დაინახა, სირცხვილის გამო ეველაფერი გადაეწყდა და მოჰკურცხლა. მოციქული, თვისი სიბერის მიუხედავად, უკან მისდევდა. „შეიდო ჩემო რათ გამირბი, მე, შენს მამასო“,—მისძახოდა იგი გაქცეულს. „შემიბრალე, შეიდო ჩემო, ნუ გეშინია; კიდევ ერთს იმედი ცხონებისა; მე ვტვირთულობ შენს მაგიერთ მტხოვრის წინაშე ბასუხი ვაგო, და, თუ სჯერო იქნება, მე თვით ავიდე შენს სიკვდილს, რიგორც მტხოვრის ჩვენი სიკვდილი იდო; შენი სულისთვის ჩემ? ‘ულს მივსტემო“. ეს რომ გაიგონა, აჩადი გაჩერდა, თვალები დაეშო, ,ირადი დაეარა, აკანკალდა და ტრემლები გადმოდვარა, და უკანრესი მწუხარების გამომეტყველებით წეო მოხუცს ვედრება ბატიგების შესახებ. მოციქული

სიტყვას აძლევდა და ეფიცებოდა —ეკვე გამოვთხოვე მატხოვარს შენთვის ცოდვათა მიტევებაო, ემუდარებოდა, მის წინ მუხლებზე დაეცა, მის მარჯვენა ხელს, როგორც სინანულით უკვე გასწმენდილს, ამბორს უეო,—და ამ სახით იგი ისევ ეკლესიისკენ გაიტანა. აქ მის შესახებ ღვთის წინაშე ვედრება ადგადინა, თვით ჭაბუკი გასუწეტელ მარხვის გზაზე ატარა, მისი ცონება სხვა-დასხვა სასარგებლო რჩევა-დარიგებით ასაზრდოა,—და მხოლოდ მაშინ დასტოვა იგი, რაც ჭაბუკი უკვე სავსებით დაუბრუნდა ეკლესიას. Евсевій Церк. Ист. III, 23.

1) 1 თესალ. 2, 1—12.

2) ლუკასი 10, 16.

3) Игн. Бог, къ Ефес. 6; къ Магнез. 2. 3. 6. 13; къ смирн. 8. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საეკლესიო მწყემსნი თავის მხრითაც უნდა სცდილობდენ თვისი ავტორიტეტი დაიცვან. მაგრამ საამისოთ მათ მხოლოდ ერთი რამ სჭირდებათ, სახელდობრ—მტკიცედ ადგენენ სახარების და მოციქულთა სწავლას მღვდლების შესახებ. ყველაზე უფრო მეტათ და ყველაზე უწინ საეკლესიო მწყემსს უნდა ახსოვდეს, რომ ცხოვნების შექმნაში იგი თვისი სამწყსოს წინ უნდა მიდიოდეს და კეთილი საქმის მაგალითს წარმოადგენდეს. „ცხოვრებით სწავლა საუკეთესო საშუალებაა სწავლისაო“,—ამბობს წმ. იოანე ოქროპირი.[1]) „უმჯობესია ჩუმათ იქნე და იყო, ვინემ ილაპარაკო და არ იყოო“,—ამბობს მეორე პატივცემული მამა ეკლესიისა.[2]) ამასთანავე საეკლესიო მწყემსმა გულის ფიცარზე უნდა დაიწეროს მაცხოვრის ზემორე აღნიშნული მცნებანი: „რომელსა უნებს თქვენ შორის დიდ-ყოფა, იყავნ თქვენდა მსახურ; და რომელსა უნებს თქვენ შორის წინა-ყოფა, იყოს იგი თქვენდა მონა.“[3])—ვისაც ქრისტიანობრივი სისრულის ამ ხარისხამდინ მიუღწევია, მას უკვე ხელთ უპყრია ადამიანების გულთა გასაღები ღვთის სიტყვის მისაღებათ,—იმ გულთა, რომელიც ეგოიზმითა და სხვა ცოდვებით არიან დაშხამულნი. საზოგადოთ კეთილი მაგალითი და ქრისტიანული თავმდაბლობა—ეს ორი ძირეული კანონია სამღვდელო პედაგოგიკისა; ამ ძირეულ კანონთა დაცვა სასულიერო მწყემსის ავტორიტეტს და სამწყსოზე გავლენას ყოველ შემთხვევაში გაცილებით უფრო კარგათ უზრუნველ-ჰყოფს, ვინემ ხელის-უფლების გარეგანი ბოძკინტები, რომელთაც მღვდლობაში ადგილი, არა აქვთ. გულწრფელ და ნამდვილ ქრისტიანულ თავმდაბლობასთან შეუერთებელი, მაღალი ზნეობრივი სისრულე—ეს ისეთი ძალაა, რომელიც ანდამატივით უნებლიეთ იზიდავს პატიოსან და კეთილშობილებით აღსავსე გულთა, ეს ისეთი ძლიერებაა, რომელსაც წინ ვერ დაუდგება ვერაფერი, რასაც კი ყოვლისავე ჭეშმარიტათ დიდებულისა ⸗ მაღალის შეგნება ⸗ დაფასება შეუძლია.

ს. გორგაძე.

(შემდეგი იქნება)

1) Бесѣды на Дѣян. II, 43; на 2 Солун. 81.
2) Игнатій Бог. къ Ефес. 15.
3) მათეს. 20, 26—27.

სოფლის სამღვდელოება
⸗
მისი ასავალ დასავალი.

„ზოგი ჭირი მარგებელია“.

ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა სოფლის სამღვდელოების შესახებ ცუდი მითქმა-მოთქმა და ამ მითქმა-მოთქმას მოყვა წერილობითი მსჯელობაც და განკითხვა სამღვდელოებისა.—ერთი სიტყვით—შეიქნა ლაპარაკის-დაობის საგნად შინ და გარეთ, ზოგიერთები სწერენ: სამღვდელოებასა და მრევლს შორის დაიკარგა ის მამაშვილური, ძმური განწყობილება, როგორიც იყო აქამდე და სამაგიეროთ ჩამოვარდა გულ-გრილობა ⸗ თითქმის სიძულვილი; მეორე მხრიდგან გვატყობინებენ: მღვდლები მეტად გვავიწროვებენ, სოფლის ხალხს ცარცავენ, ტყავს აძრობენ და სხვა ამ გვარი. სწორეთ ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს სოფლის სამღვდელოება ამ მითქმა მოთქმით და განკითხვით, რომ მაზედ ზედგამოჭრილია ეს ანდაზა: „ყბად აღებული წყალ წაღებული.“—არ არის მეორე ისეთი თანამდებობა, რომელიც ისე ათვალისწუნებული იყოს საზოგადოებისაგან, როგორიც არის სოფლის მღვდელი. მე ვამბობ „სოფლის მღვდელი,“ და არა მხოლოდ მღვდელი, იმიტომ რომ ქალაქის სამღვდელოება სცხოვრობს და მოქმედებს შეგნებულს საზოგადოებაში და თავისი მატერიალური მოთხოვნილებით არ აწვება მრევლს, არამედ უზრუნველყოფილია ხაზინისაგან და შტატის ადგილების გარეშე აქვს გაკვეთილები სასწავლებლებში, საიდანაც ღებულობენ კიდევ ჯამაგირს; ზოგიერთნი-კი მთლად სასწავლებელში სცხოვრობენ და იქ მოქმედებენ მხოლოდ. სულ სხვა პირობებშია საწყალი სოფლის სამღვდელოება: სოფელმა უნდა შეინახოს თავისი მღვდელი; ხაზინიდგან, თუ არ მივიღებთ სახეში ახალს ჯამაგირებს, რომელიც ჯერ საერთო არ არის (ძალიან მცირეა ჯამაგირიანი შტატები) ეძლევათ სულ მცირე რამე,—რომელიც მოსახსენებელიც არ არის (50—100 მანეთამდე). ამის გამო სოფლის მღვდელი იღებს დრამის ფულს და საჩუქარს კერძო მღვდელთმოქმედების აღსრულების დროს. მე წინეთ არ ვიცოდი თუ ლაქიები სასტუმროშიდ ჯამაგირს არ ღებულობდნენ თავიანთ ბატონებიდგან, მხოლოდ შემთხვევით გავიგე, რომ ისინი თურმე სტუმრების საჩუქრებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩებიან. ჩემის აზრით ადამიანის თავმოყვარეობის ტ ბირადობის დამამცირებელი სამსახურია ასეთი შრომა. როგორ?! მე შრომის შემდეგ იმას უნდა შევსცქერდე გლახასავით, აბა რას მაჩუქებს და მიწყალებს?! აი, სოფლის მღვდელიც ასეთ მდგომარეობაშია. მართლაც, ძალიან შემაწუხებელია ასეთი ცხოვრების უკულმართობა ჩვენს დროშიდ, მაგრამ შემაწუხებელია უფრო თვით სამღვდელოებისათვის და არა საზოგადოებისათვის. ამ შემთხვევაშიდ საყვედური კი არა დიდი საყვედურიც ეთქმის შეგნებული საზოგადოების ერთ ნაწილს, იმიტომ რომ ამ საჩუქრებისა გამო სამღვდელოებას აწერენ ისეთ ეპიტეტებს როგორიცაა: «ხალხს ყვლეფენ, ტყავს აძრობენ, გვავიწროვებენ, მღვდელი კი არ მგელია“ და სხვა კიდევ ბევრი ამისთანები.—იმის მაგივრად, რომ სწუხდნენ სამღვდელოების ამგვარი მდგომარეობით, პირიქით ლანძღვენ, აგინებენ და ცუდათ იხსენიებენ ბეჭდვითი სიტყვით და ისე ხომ მთლად ძირს უთხრიან და ესაა. ამ ბოლო დროს უფრო მოხშირდა ამ გვარი იერიში სოფლის სამღვდელოებაზე ზოგიერთი «განათლებული» რეარგანიზატორებისაგან; გაჭუმდეთ და არაფერი ვსთქვათ, არ ვარგა, ბრიყვს და უვიცს ყველაფერში (ცუდში უფრო ადვილად) დააჯერებ და ჩვენი გაჩუმება მათთვის მავნებელი იქნება.

მსურს სოფლის სამღვდელოების ავ-კარგიანობას, რამდენადაც ძალ-ღონე შემწევს და გამოცდილება, შევეხო არა პატრიოტულად, იმ აზრით, ან წინდაწინ გადაწყვეტილი მიზნით, რომ სოფლის სამღვდელოება გავამართლო, პატიოსანი და უმწიკვლო წოდებად გამოვიყვანო, არამედ დაურიდებლად, (რამდენადაც შეიძლება) გამოვააშკარავოთ მისი ავან-ჩავანი, წამოვაყენოთ ნამდვილი ფაქტები მისი ცხოვრებიდან და ისე ვსაჯოთ მაზედ და ამ გვარათ განვიხილოთ სოფლის სამღვდელოების მატერიალური მდგომარეობა და ზნეობრივი მხარეც.

პირველ ყოვლისა ვიკითხოთ: რა არის სამღვდელოება ჩვენს კურთხეულს ქვეყანაში? სამღვდელოება ეხლანდელს დროშიდ ისეთივე თანამდებობაა რუსეთის სახელმწიფოში, როგორიცაა სხვა ათასი სამსახური საერო უწყებისა, მხოლოდ იმ გარჩევით, რომ მღვდელობა ეკუთვნის სასულიერო უწყებას. მაშ აშკარაა, თუ რომ სხვა სამსახურის ადამიანს თავისი შესაფერისი სარჩო ანუ ჯამაგირი უნდა, ისე უნდა მღვდელსაც; ცოლ-შვილის შენახვა, შვილების აღზრდა და ყოველი საზოგადო თუ კერძო მოთხოვნილება, როგორიც აქვს ყოველს ადამიანს, აქვს მღვდელსაც. მე ვფიქრობ ამის დამტკიცებას არავინ მოითხოვს. მერე, საიდგან მოახერხოს სოფლის მღვდელმან ყველა ესენი, რა ძალით, რა საშუალებით? დრამას ნუ აიღებთ საჩუქარს ნუ მიიღებთ, დაკმაყოფილდით ჯამაგირითო, ბრძანებენ ბრძენნი ამა სოფლისანი. ამასაც მტკიცება არ უნდა, რომ ჩვენი ჯამაგირები სამღვდელოების ოჯახობას ვერ შეინახვენ,—ეს იმდენად ცხადია ყველასათვის, ვინც იცნობს სამღვდელოებას და ვინც მსჯელობს მაზედ, ამისი უცოდინარობას ვერ დაიხვევს ხელზედ, ვალდებულია იცოდეს. არის მცირე ჯამაგირები, მერე სად არის ეს ახალი ჯამაგირები? ისიც ძვირი ხილია, უმეტესი ნაწილი რჩება დრამითა და საჩუქრით. რომ ყველას ნათლად დავანახვოთ სოფლის სამღვდელოების ქონებრივი შეძლებულობა ავიღოთ minimum-ი და maximum-ი მისი შემოსავლისა. როგორც მ. ს. ჭუმბურიძე აღნუსხავს „მწყემსი-“ს № 8-ში—სოფლის მღვდლის შემოსავალი, 150 კომლიან სამრევლოში შეადგენს: 427 მან. და 95 კაპ. აქედან რო გამოვრცხოთ სასკოლო კომლეული გადასახადი და სხვაც წვრილმალი დარჩება მღვდელს 359 მან. 28 კ. და მედავითნეს 119 მან. 76 კაპ. უმეტესი ნაწილი სოფლის სამღვდელოებისა მოყვება ამ minimumi-ის ფარგალშიდ. ეხლა ავიღოთ რჩეულთა გუნდი· 160—200 კომლი მრევლი, დრამის ფული აქედგან 240 - 300 მან. (დანარჩენი დიაკონისაა) 50—100 მანეთამდე ძველი ჯამაგირი (пособіе) და დანარჩენი წვრილმანი შემოსავალი 120—150 მ. (საკუთარი მღვდლის წილი) სულ შეიქნა 410—550 მანეთი. იქონიეთ სახეში, ახალი ჯამაგირები ამისთანა მოზრდილი სამრევლოებშიდ ჯერ-ჯერობით არ არის დანიშნული და მგონი დიდ ხანსაც დარჩეს შეუსრულებელი.—აი, maximum-ი შემოსავლისა, სოფლის სამღვდელოების შეძლებულობა, რომელიც თვალში ეკლათ ესობათ ზოგიერთ ვაჟ-ბატონებს, ჩვენი ქვეყნის განმანათლებელებს. ეხლა ვიკითხოთ: ამ ფულით (ისიც უხეიროთ, უთავბოლოდ აღებული) შეიძლება ხეირიანათ, ნორმალურათ იცხოროს კაცმან სოფელში? დამერწმუნეთ, რომ ამ ფულით კიდევ უკეთ იცხოვრებს ადამიანი ქალაქის ადგილას, მინემ სოფლათ. ვისაც გამოუცდია სოფელში ცხო-

ვრება ის დამერწმუნება ამაშიდ და ესაც არა იმისი უარიც მისადები არ არის როგორც გამოუცდელისა. რას უქს ისეთ მღვდელს 400-500 მანეთი (თუ გინდ 600-ც) წელიწადში, რომელსაც ორი-სამი შვილი სასწავლებელში ყავს, ისიც, იგულისხმეთ, მდაბალ სასწავლებელში, თორემ თუ მაღალ სასწავლებელში გაგზავნა შვილი, მაშინ, მის სიცოცხლეში თუ რაიმე ორი გროში მოუგროვებია შავი დღისათვის, ისიც თან უნდა წაახმაროს. არ გჯერათ? გამოიკითხეთ და თუ ტყუილი იქნება, შეჩვენებული ვიყო. თუ ვინიცობაა, რომ ღმერთმა ის დღე კი მოასწროს, რომ შვილი უნივერსიტეტში გაგზავნა და მას კი დიდი ხნიდან ამ დროსთვის არაფერი აქვს შენახული, იმ შემთხვევაში თვითონ ტ მისი ცოლ-შვილი სანახევროდ მშივრები და შეწუხებულნი ყოველი მხრით უნდა დარჩენ დრომდე. შეიძლება ვინმე ჩვენმა მკითხველთაგანმა, რომ წაიკითხავს ამ სტრიქონებს, წამოიძახოს: „რას ამბობ, მამაო, რას? მე ბევრი ვიცი ისეთი მღვდელი, რომ თვითონაც კარგათ იცვამს, ცოლ-შვილსაც კოხტად აცმევს, შვილებსაც კარგად ზრდის და არის არხეინადო». ოჰ, უკაცრავად, ჩემო ბატონო! მეც კი მიცვნია და ვიცვნობ ასეთ მღვდლებს, მაგრამ ისე კი არა, როგორც თქვენ! თქვენ, შეიძლება, ჰფიქრობთ: ხავერდის ბინაში, ძვირფასი ტანისამოსი ცოლსა და შვილს, ოჯახში შეძლებული ცხოვრება, შვილების აღზრდა, თუ რომ 500—600 მანეთის მეტს არ ღებულობდეს მაშ, როგორ შეიძლება ესა? ან კიდევ, იცით რომ მეტს არ ღებულობს კანონიერს ჯამაგირს და საჩუქარს, მაგრამ, ფიქრობს გონებაში: იმას მოატყუილებს, ამას გააცრუებს და ამით არის, რომ გააქვს ლელოო. არიან კი ასეთნი, მაგრამ ათასში ერთი, თამამად შემიძლია ეს გითხრათ. აი, ეხლა მე მოგახსენებთ, როგორ ვიცნობ მე იმ შეძლებულ მღვდლებს, რომელნიც ადვილათ გამოდიან გაჭირვებიდგან ტ გააქვთ ცხოვრების ლელო. როდესაც მღვდლათ მიდის ვინმე მისი მამული საეკლესიო მამულათ კი არ ჩაირიცხება და მას კი არ დაემადლება: შენი მამულის შემოსავალი შენი ჯამაგირის, გასამრჯელოს რიცხვში ჩაითვალეო; ის მას ეკუთვნის მემკვიდრეობით.—სოფელი ანუ სამრევლო ვერ დაამადლის: ეს მამული და მისი შემოსავალიც ჩვენდა მოცემულად (?) უნდა ჩაითვალოო. მამის გადანაცემი სახლი, მიწა-წყალი ეხმარება მას, თავშესაფარს და სარჩოს ღებულობს მამისაგან და რაც ზედმეტი სჭირია, იმას უნდება მისი ჯამაგირი. —ამაზედაც იტყვით, ვიცი რომ ჟინიანობას დაიწყებთ; რაღა ყველა ისე მამულიანი, მიწა წყლის პატრონები არიან შეძლებული მღვდლებიო. ერთ გარემოებასაც მოგახსენებთ ამ შემთხვევაშიდ, რომელსაც მე დავკვირვებივარ გურია-სამეგრელო-იმერეთში. მამასა ჰყავს ერთი შვილი (თუ გინდ მეტიც —მაშინ ერთს თავისი მოადგილეთ სთვლის), სურს რომ მისი კერა არ ჩააქროს სოფლად; შვილი ნასწავლი ჰყავს (ცოტათი მაინც) უნდა სოფელშიაც სცხოვრებდეს და თან ისეთი რამ სამსახური ეჭიროს, პატარა რამე ფულათ შემოსავალი ჰქონდეს. სოფლად სხვა რა სამსახურია: სოფლის მღვდელი, მწერალი და ან მასწავლებელი. ხომ მოგეხსენებათ, როგორ ეტრფიან სოფლელები მღვდლობას; ამიტომ მამა სცდილობს აკურთხებინოს თავისი შვილი მღვდლათ. ასეთი მაგალითები სულ ხშირია ჩვენ ქვეყანაში—და საზოგადოთ საქართველოში მაშასადამე, შეძლებულის მღვდლის დაუვარდნელს წყაროს ქონებისას შეადგენს მისი მამისეული მიწა-წყალი და სახლ-კარი. ამავე მიზეზით აიხსნება ის გარემოება, რომ სულ უმეტესი ნაწილი სამღვდელოებისა სცხოვრებს თავიანთ სოფლებში.

მდ. ნ. ბ.

(გაგრძელება იქნება).

შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. კ. პლევეს მოკვლა.

მიღებულმა რუსეთის გაზეთებმა მოგვიტანეს დაწვრილებითი ამბები შინაგან საქმეთა მინისტრის ფონ-პლევეს მოკვლის შესახებ მკვლელობა, როგორც დეპეშებიდან უკვე იციან მკითხველებმა, მოხდა 15 ივლისს, დილის 9 საათსა და 50 წუთზე წინა დღეს, საღამოთი, მინისტრს თავისი მეუღლე და ვაჟი კალუგის გუბერნიაში საკუთარს მამულში გაუსტუმრებია. თითონ მინისტრი ამ დილით სადგურზე მიდიოდა, ხოლო იქიდან ცარსკოე სელოში აპირებდა წასვლას ხელმწიფე იმპერატორისათვის სხვა-და-სხვა მოხსენების წარსადგენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკვლელობა მოხდა იზმაილოვის პროსპექტისა და ობეოდნი კანალის კუთხეში, იქ, სადაც „ვარშავის სასტუმროა“. ზოგი ამბობს, მკვლელი ამ სასტუმროდან გამოვარდაო, ზოგი კიდევ—სასტუმროს კუთხიდანაო. იქვე სასტუმროსთან მჯდარა 1 დედაკაცი, მზეუჭვრეტის გამყიდავი. დედაკაცს უთქვამს, როდესაც ეტლი სასტუმროს გაუთანასწორდა, დავინახე, სასტუმროდან როგორ გამოვარდა ყმაწვილი კაცი; ხელში ამ კაცს რაღაც ეჭირა, კომბოსტოს მსგავსი; მიჰვარდა მინისტრის კარეტას და ესროლა ის, რაც ხელში ეჭირა; შემდეგ რა მოხდა, არ ვიცი, რადგან საშინელი ხმა მომესმა და რაღაც ძალამ წამაქცია. როდესაც ყუმბარა გამსქდარა, ხმა $1^1/_2$ ვერსზე გაუგონიათ. სასტუმროს ხუთ-სართულიანი ყოფილა და არც ერთი ფანჯარა ამ სასტუმროში მთელი არ გადარჩენილა, მეორე მხარესაც-კი. დალეწილა აგრეთვე სხვა სახლების ფანჯრებიც. ყოველივე ეს თვალის დახამხამებაზე მომხდარა. ეტლი, რომელშიაც მინისტრი იჯდა, ნაფლეთებად ქცეულა. ეტლისა მხოლოდ ღერძი და თვლები-ღა დარჩენილა, რომელიც დამფრთხალ და ამასთან ძალზე დაშავებულ ცხენებს გაუქანებიათ. ცხენები მალე დაუჭერიათ.

ყუმბარის აფეთქების საშინელ ხმაზე ახლო მყოფი პოლიცია და ხალხი გაქანებულა იმ ადგილისაკენ, სადაც აფეთქება მომხდარა. პირველად მისულა ბოქაული გრაფი ტატიშჩევი. მინისტრის უსიცოცხლო გვამი დაუნახავს შუა ქუჩაში, სადაც ეტლის ნანტვრევები და ნაფლეთები ეყარა თურმე. მინისტრს ქვედა ყბა მოგლეჯილი აღმოაჩნდა, თავი და ზედა ყბა ძალზე დაჩეჩქვილი, მკერდი ჩალეწილი, ტანისამოსი დაგლეჯილ-დაფლეთილი. ცალკე ეგდო დაფლეთილი და სისხლში მოსვრილი მუნდირი მინისტრისა. გვამის გარშემო ყველგან სისხლი მოსჩანდა თურმე. ეტლის ნაფლეთები 30—50 საჟენზე ყოფილა აქეთ-იქით გაფანტული. იქვე მომკვდარა მეეტლეც. ყუმბარის აფეთქების დროს 18-მდე კაცი დაშავებულა და დაჭრილა, ზოგი მძიმედ, მაგალითად, ლეიბ-გვარდიის სემენოვის პოლკის კაპიტანი სვეცინსკი, რომელიც აფეთქების დროს ეტლით მიდიოდა თურმე. კაპიტანი საავადმყოფოში წაუყვანიათ და ოპერაცია გაუკეთებიათ.

მძიმე დაშავებული აღმოჩნდა აგრეთვე თვით მკვლელი, 24-25 წლის ყმაწვილი კაცი, რომელსაც რკინის გზის მოსამსახურეთა ქუდი ჰხურებია ამბობენ, რკინის გზის მოსამსახურე არ იყო და განგებ ეხურა ასეთი ქუდი, რომ სადგურის მახლობლად, სადაც ბევრი მოსამსახურეა რკინის გზისა, ადვილად დამალულიყო. მკვლელი იქვე შეიპყრეს, გაქცევა დაუპირებია, რესტორანში შევარდნილა, მაგრამ მალე დაუჭერიათ. იგი გამომტყდარა. რადგან ძალიანა ყოფილა დაშავებული, ცოტა რამ გამოუკითხავთ და საავადმყოფოში გაუგზავნიათ. დაშავებული აღმოჩნდა სახე, მუცელი და ფეხები. ჯიბეში მკვლელს უნახეს თურმე გატენილი ლივორვერი.

მოკლული მინისტრის გვამი ქუჩაში ნახევარ საათს ყოფილა ბრალდებლისა, გამომძიებლისა და სხვა მოხელეთა გასინჯვის შემდეგ გვამი მინისტრის სადგომში წაუსვენებიათ. ყუმბარა, როგორც «ნოვ. ვრ.»-ა გადმოგვცემს, ძლიერ ამაფეთქებელის ნივთიერებით ყოფილა შეზავებული და ტყვიებით გატენილი.

მინისტრის მოკვლის ამბავი მსწრაფლ მოედო თურმე მთელ პეტერბურგს. პოლიციისა და სასამართლოს მოხელეთა გარდა, მკვლელობის ადგილას მალე მისულან სასახლის კომენდატი გენერალ-ადიუტანტი გესსე, კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, პეტერბურგის გრადო-ნაჩალნიკი და სხვანი.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲒᲘᲓᲐᲜ.

ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲛᲝᲓᲣᲚᲘᲜᲘᲡ ᲣᲦᲔᲚᲢᲔᲮᲘᲚᲘᲗᲘᲡ, 4 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ. ფრანგულ გაზ. „ტან“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: ივნისში იაპონელებმა ყველა უღელტეხილი და მთის გასავლები დაიპირეს სამხრეთ მანჯურიაში და გაამაგრეს, თავიანთი უმთავრესი ჯარი-კი მთებს უკან დააყენეს და საიდუმლოდ, საითაც უჯობდათ, იქითა გზავნიდნენ. გენ. კუროპატკინმა მტრის ჯარის დასაზვერადა და იმის განზრახვის გასაგებად 4 ივლისს გრაფ კელერის რაზმი ლანშანგუანისაკენ გაგზავნა. გრაფ კელერს 22 ბატალიონი ქვეითა ჯარი ჰყავდა და 12 ზარბაზანი ჰქონდა. უმთავრესი რაზმი სიაოკალინის უღელტეხილისკენ გაემართა, უფრო პატარა რაზმები სებელინისა და ლანგოლინის უღელტეხილისაკენ. ამ პატარა რაზმებს უმთავრეს რაზმისათვის დახმარება უნდა გაეწიათ. უმთა-

ვრესი რაზმი მალე სიაოკაოლინის უღელტეხილს დაუახლოვდა. იაპონელებმა დიდი წინააღმდეგობა არ გაუწიეს და უკან დაიხიეს. ამ დროს იაპონელებმა უფანგუანისა და ტემპლის უღელტეხილიდან მოუარეს და რუსის მარჯვენა ფრთას დაეცნენ; იაპონელების არტილერიამ ტემპლის სიმაღლეები დაიჭირა ⁄ რუსებს ყველა მხარეს ზარბაზანი დაუშინა. მეტად ბევრი სისხლი დაიღვარა ამ ბრძოლის დროს. რუსებმა უკან დაიხიეს. ასე ცუდად ჩაიარა გენ. კელერის ცდამ... ამბობენ, რუსებს ამ ბრძოლის დროს სამთო ზარბაზნები არა ჰქონდათ, ეხლა მალე მიუვთ ეს ზარბაზნები და მაშინ ასეთი მარცხი აღარ მოუვათო. რასაკვირველია, სამთო ზარბაზნებს ადვილად გაიჩენენ, მაგრამ საქმე ისაა, რომ რუსები მთაში ომს შეჩვეულები არ არიან; რუსის აფიცრები და სალდათები მარტო მინდორზე არიან დაჩვეულნი ბრძოლასა და მოქმედებას, მთაში-კი ხამად არიან და ვერც ადვილად შეეჩვევიან მთის უღელტეხილებსა და ხეობებში მოქმედებას... იაპონელები ამ ბრძოლის დროსაც თავიანთ საყვარელ ტაქტიკის თანახმად მოქცეულან: რუსის უმთავრესი რაზმი წინ გაუტყუებიათ და მერე გვერდიდან დასცემიან...

ინგლისური გაზეთები ირწმუნებიან, 4 ივლისს მოდულინთან გრაფ კელერს ორი დივიზია ჯარი ჰყავდა და იაპონელებს მარტო მეორე დივიზია ჰყავდათ გენ. ნისის უფროსობითაო.

4 ივლისის ბრძოლას ერთი ინგლისელი კორესპონდენტიც დასწრებია. ამ კორესპონდენტს უამბნია „ლოკალ-ანკაიგერ“-ის კორესპონდენტისათვის: მოდულინის უღელტეხილთან იაპონელებმა ერთ მაღალ გორაზე დააყენეს თავიანთი ჯარი და არტილერია. რუსები ველზე მოდიოდნენ, იაპონელებმა ზარბაზანი და თოფები დაუშინეს და დიდი ზარალი მისცეს რუსის ჯარსაო. (რ. ლ.).

რუსეთის მთავარ შტაბმა გამოაცხადა 4, 5 და 6 ივლისს ბრძოლის დროს სიაოკაოლინის უღელტეხილზე მე-9 ციმბირის პოლკს 13 სალდაოი მოუკლეს, 3 აფიცერი და 145 სალდათი დაუჭრეს, 4 სალდათი ბრძოლის ველზე დარჩა. მე-10 ციმბირის პოლკს 2 სალდათი მოუკლეს, 32 დაუჭრეს, 2 სალდათი ბრძოლის ველზე დარჩა; მე-11 ციმბირის პოლკს 7 სალდათი დაუჭრეს; მე-12 ციმბირის პოლკს 46 სალდათი მოუკლეს, 1 აფიცერი და 182 სალდითი დაუჭრეს, 6 სალდათი ბრძოლის ველზე დარჩა; მე-22 პოლკს 9 სალდათი მოუკლეს, 47 დაუჭრეს, 2 სალდათი ბრძოლის ველზე დარჩა. მე-24 ციმბირის პოლკს 51 სალდათი მოუკლეს, 243 დაუჭრეს და 22 ბრძოლის ველზე დარჩა; მე-33 ელეცის ქვეითა პოლკს 1 აფიცერი და 5 სალდათი მოუკლეს და 1 აფიცერი და 71 სალდათი დაუჭრეს; მე-34 სევსკის პოლკს 2 აფიცერი და 24 სალდათი მოუკლეს, 1 აფიცერი და 195 სალდათი დაუჭრეს, 1 აფიცერი ⁄ 63 სალდათი ბრძოლის ველზე დარჩა. მე-35 ბრიანსკის ქვეითა პოლკს 3 აფ-ცერი და 37 სალდათი მოუკლეს, 3 აფიცერი და 16 სალდათი დაუჭრეს, 1 აფიცერი და 90 სალდათი ბრძოლის ველზე დარჩა; მე-36 ორიოლის პოლკს 21 სალდათი მოუკლეს, 1 აფიცერი და 65 სალდათი დაუჭრეს, 32 სალდათი ბრძოლის ველზე დარჩა და 2 აფიცერი სუმბუქად დაუჭრეს. პირველ ციმბირის სამთო ბატარეიას 1 სალდათი მოუკლეს, 1 აფიცერი და 3 სალდათი დაუჭრეს; 1 აფიცერი მსუბუქად დაუჭრეს. მე-9 არტილერიის ბრიგადას 6 კაცი მოუკლეს, 6 აფიცერი და 54 სალდათი დაუჭრეს და 2 აფიცერი სუმბუქად დაუჭრეს. ცხენოსან სამთო ბატარეას 4 სალდათი დაუჭრეს; 1 არგუნის ყაზახთა პოლკს 4 ყაზახი მოუკლეს. სულ ამ ბრძოლის დროს რუსებს 1,600 კაცამდე მოუკლეს და დაუჭრეს. (რ. ი.)

* * *

ტიურენჩენთან დატყვევებული შტაბს კაპიტანი რავა იაპონიიდან სწერს თავის ბიძას კიშინევში: 18 აპრილს ბრძოლის დროს ჩვენი კორპუსი დამარცხდა, მე-11 და მე-12 პოლკებს ხომ მეტად დიდი ზარალი მოუვიდათ. უკან დახევის დროს ჩვენი ბატალიონი თითქმის მთლად გასწყვიტეს. მე, მადლობა ღმერთს, სამგან მსუბუქად დამჭრეს და სამის კვირის წამლობის შემდეგ იაპონელების საავადმყოფოში სულ მოვრჩი. საავადმყოფოში მეცა და ყველა ჩვენ დაჭრილებსაც, იაპონიის იმპერიის სასახელოდ, მეტად კარგად გვივლიდნენ და სამაგალითოდ გვწამლობდნენ, ამიტომ ჭრილობისაგან მეტად ცოტა გარდაიცვალა (მარტო 10 კაცი), დაჭრილი კი სულ 400 კაცი იყო. (რ. ლ.“).

«მატენ»-ის თანამშრომელს რუსეთის გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი უნახავს პეტერბურგში. გზათა მინისტრის აზრით, რუსების უმთავრეს ბაზად ეხლანდელ ომში ხარბინი იქნება. მანჯურიაში ყოფნის დროს, თავ. ხილკოვს გენ. კუროპატკინიც

უნახავს ტიურენჩენთან ბრძოლის რამდენისამე დღის შემდეგ. მანჯურიის მხედრობის სარდალი ჯარის სიცოცხლეს ჩიოდა, მაგრამ მას აქვთ ბევრი ჯარი მიუვიდა. გენ. კუროპატკინს საუბრის დროს გადაჭრით უთქვამს მინისტრისათვის, იაპონელები სამხრეთისაკენ ვერ გამიტყუებენ და იქ ხაფანგში ვერ მომიმწყვდევენო. („რ. ს.“).

„დეილი ტელეგრაფ“-ის კორესპონდენტი იუწყება: გენ. მა თავის ჯარით მანჯურიის საზღვარზე დგას. გენერალი მწარედ ჩივის, რუსის ჯარი მეტად ცუდად ექცევა ჩინელ სალდათებსაო. კორესპონდენტი ირწმუნება: გენერალმა მამ მიამბო, რუსები მდ. ლიაოს დასავლეთ ნაპირას, ნეიტრალურ ადგილას, მეტად ცუდად ექცევოდნენ ჩინელ სალდათებს, თოფსაც კი ესროდნენ ხოლმეო. რუსებს თითქო ეწადათ, რომ ჩინელებსაც პასუხი გაეცათ და ჩხუბი მოეხდინათო. ეხლა მეშინიან, ვაი თუ ამას იქით ჩემი სალდათები ვეღარ შევაყენოო. კორესპონდენტი უმატებს, გენერალმა მამ თავისი სარეზერვო ჯარიც მანჯურიის საზღვარზე დაიბარა ტიუნჩოუდაწაო. («ბ. ვ.“).

იაპონელების ბრალდამცია. რუსულ სამხედრო გაზ. «ვესტნიკ მანჯურსკოი არმია»-ში 6 ივნისს დაბეჭდილია იაპონელების პროკლამაცია. ეს პროკლამაცია იაპონელებმა ჩინურ ენაზე გამოსცეს და ქალ. ნიუჩუანში უმთავრეს ქუჩებზე გააკრეს. პროკლამაციაში სწერია:

„ვუცხადებთ ადგილობრივ ხალხს, რომ რუსებმა კარგა ხანია ძალით დაიპყრეს მანჯურია, ყველგან ჯარი ჩააყენეს, ხალხი შეაწუხეს და ჩინელი მოხელეები დაითხოვეს. ერთის სიტყვით, ყველაფერში ისე იქცეოდნენ, როგორც თითონ ჰნებავდათ და არავის არად აგდებდნენ. ყაჩაღებთან შეთქმულობა გამართეს და ვითომ რკინის გზის დასაცველად მანჯურიის სამი პროვინცია ხელში ჩაიგდეს. რადგან მანჯურია ჩინეთის იმპერატორის მამა-პაპის სამშობლოა, ამიტომ ჩინეთის ქვეშევრდომნი და მოხელეები ვერას დროს ვერ მოითმენენ რუსების ბატონობას ამ პროვინციაში. მანჯურია რომ რუსებს ჩაუვარდეს ხელში, განა კორეა-კი ასეთსავე განსაცდელში არ ჩავარდება? ჩვენი იაპონია იმნაირიდაა გადაბმული კორეასთან, როგორც ტუჩი კბილებთან, ამიტომ კორეას არაფრის გულისათვის არ დავუთმობთ რუსეთს. რუს-ხელმწიფე დიდად გასწყრა და ბძანება გასცა, მანჯურიაში ჯარი გაიგზავნოსო. რუსის ჯარი და ფლოტი შორეულ აღმოსავლეთისაკენ გაემართა. იაპონელებმა თავიანთი მოვალეობა შეასრულეს და შემოსეულ მტერს ომი გამოუცხადეს. პირველად ჩემულპოსთან მტრის ხამხედრო გემები გაუნადგურეს; მეორედ, პორტ-არტურთან ბევრი გემი დაუზიანეს. ჩვენი მამაცი და ქველი ჯარის-კაცები ვეფხვებივით იბრძვიან, ჩვენ ბაირაღ ქვეშ ბრძოლის რიგზე გამწკრივებული მოდიან და მტერს ყველგან თითქმის უბრძოლველად წინ მიერეკებიან. ამ ჟამად ჩვენმა ჯარმა კორეია გაიარა და ლიაოს ველამდე მოახწია. ჩვენ ყოველთვის ისე ვექცევით ხალხსა, როგორც მოსიყვარულე დედა თავის შვილსა. ამ პროკლამაციიდან, ხალხო, შეგიძლიანთ გაიგოთ, რა კეთილია ჩვენი იმპერატორი. საკუთარი ყოველ-დღიური საქმე განაგრძეთ, ნურაფრის ნუ გეშინიანთ როცა კი ჩვენს ჯარს საქონელი, ცხენები, თივა, ხორბალი და სხვა რამ სურსათი დასჭირდება, დაუყოვნებლივ უნდა მოგვაშველოთ; ჩვენც ყველაფერშიაც ფასს მოგცემთ. თუ ვინმე რუსებს ჩვენის ჯარის ამბავს გააგებინებს, ან ჩვენს წინააღმდეგ იმოქმედებს -როგორმე, სასტიკად დაისჯება. ეს ბძანება ყველამ აასრულოს“.

„რუსკი ინვალიდში“ დაბეჭდილია წერილი პ. კრასნოვისა, რომელიც ხელოვნურად მოგვითხრობს ერთს ფრიად საზარელ ამბავს რუსეთ-იაპონიის ომისას. ეს ყოფილა ფინ-შუი-ლინის უღელტეხილზე:

ნაშუადღევის 2 საათია. მზე ბრწყინავს. რუსის ჯარი დაბრუნებულია ვიწრო ხეობაში. მაღალი მთები ორთავ მხარეს სხვა-და-სხვა ყვავილებით არის დაფერადებული. მომხიბლავი სანახაობაა. ყაზახები ხურჯინებსა ხსნიან. აქა-იქ ცეცხლი გიზგიზებს და ზედ წყალი ცხელდება ჩაიდნებით. აფიცრები და ექიმები ქვითკირის საკერპეს კიბესა და დერეფანში სხედან, საუზმობენ და ჩაის სვამენ. ყველა სტკბება სიცოცხლით, სითბოთი, ლამაზ სანახაობითა, ბუნებით. რამდენიმე ჯარის კაცი კლდეებზე მიცოცავს, ყოველ ბუჩქს ებღაუჭება, რომ მაღლობზე ავიდნენ და დარაჯად დადგნენ...

ერთბაშად სამხრეთ-აღმოსავლეთით მთის წვეროდგან რაღამაც იგრიალა და ზედ საშინელი თოფის სროლა ასტყდა. ტყვიის ზუზუნი საერთო ჟრიამულს შეუერთდა. საკერპე ინგრეოდა და აგურები თავს გვეცემოდა. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ პირველ წუთს ვერც-კი მივხვდით, რა მოხდა და საიდგან დაგვატყდა მტერი... ტყვია სწორედ იმ ადგილს დაუშინეს, სადაც აფიცრები ისხდნენ, და პირველი ექიმს მოხვდა ფეხში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი და ცხენი, მოკლული და დაჭრილი, ერთმანეთში აირია. ცხენები ხეიხვინებდნენ და სცდილობდნენ აღვირები აეგლიჯათ. აფიცრები და ყაზახები თავთავის რაზმებისაკენ გარბოდნენ.

—ცხენებზე! მეჯინიბენო, ტყისკენ! ქვეითებო, ჩემკენ! ისმოდა ბრძანება უფროსებისა და აფიცრებისა. გენერალი ლ. ცხენს შემოახტა და საჩქაროდ რაზმთა წყობას შეუდგა...

მხედარ-საპიორების რაზმის უფროსი კაპიტანი შულჟენკო, რომელიც ტრანსვალის ომშიც იყო, თოფით ხელში იმ მხარეს, საიდგანაც ტყვია მოდიოდა, მალე ბუჩქნარში მიიმალა და მაღალ მთას შეუდგა, მას მიჰყვა „ურას“ ძახილით პოლკოვნიკი როსინსკი, დივიზიის შტაბის უფროსი, როტმისტრი ცედერბერგი, გრაფი კომაროვსკი, ესაული ვლასოვი, ასისთავი ობუხოვი, და სამოცამდე ყაზახი. ისინიც „ურას“ გაიძახოდნენ... შეწყდა თოფის სროლა... იაპონელები შეკრთნენ.

იმ დროს, როდესაც ეს თავგანწირული გმირები კლდეებზე მიცოცავდნენ, ქვემოდ ჯარის კაცებს ცხენები მოფარებულ ადგილს მიჰყავდათ.

სამწუხარო სურათს წარმოადგენდა ჩვენი ბანაკი, რომელიც ერთის წუთის წინად ისე მშვიდი და კარგი სანახავი იყო... გარშემო კვნესა და ხრიალი ისმოდა; თოფის გრიალსა, ძახილს და ყრიამულს კლდეები ბანს აძლევდა... ოცი წამი გაავლიდა, როდესაც ჩვენი აფიცრები და ყაზახები მაღლობზე ავიდნენ და იაპონელები უკუ აქციეს...

ჩვენ რაზმში 5 ყაზახი მოკლული იყო, ხუთი მძიმედ დაჭრილი და 16 მსუბუქად; პოდპოლკოვნიკი ზაბოტკინი და ექიმი არხანგელსკი მსუბუქად იყვნენ დაჭრილნი; 53 ცხენი მოეკლათ...

***

ბევრი რუსული რუსული გაზეთი დასცინის ლ მასხარად იღებს იაპონელთ: რა შეუძლიათ, რას გახდებიანო; რას გვიზამს პატარა იაპონიაო და სხვა. ასეთი კილო ცრუ-პატრიოტებისა ბევრჯელ გაჭეცხეს რუსულ სერიოზულმა გაზეთებმა, რომელნიც აფრთხილებდნენ, იაპონელი ღირსეული და ძლიერი მტერია და ფუქსავატური დაცინვა საკადრისი არ არისო. მაგრამ პატრიოტები თავისას არ იშლიან... სხვათა შორის, სერიოზული გაზეთი „პრომშ. მირ“ სწერს ამის გამო: — „ცუდ სამსახურს უწევენ სამშობლოს ის პატრიოტები, რომელნიც მტერს უძლურად და ღარიბად გვისახავენ. ცრუ პატრიოტულ სურათებმა და წერილებმა უკვე მოიტანეს ნაყოფი: ბევრგან, რუსეთში, გლეხები გაკვირვებით კითხულობენ, რატომ გრძელდება ასე დიდხანს ომი, თუ იაპონელები მართლა უძლურები არიან და მათთან ბრძოლა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენსო??.“

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** კავკასიის აქეთა მხრის რკინის გზების უმფროსი ბ. ივანოვსკი, ერთად სხვა ინჟინერებთან, კვირას 25 ამა ივლისს, ბაკურიანის რკინის გზით მობრძანდა ექიმის ვახტანგ ღამბაშიძის სანატორიაში და დაწვრილებით დაათვალიერა სახლი და სანატორიის მიდამოები. შემდეგ დაათვალიერა ექიმის კაბინეტი, რომელშიდაც არის გამართული ახლად მოტანილი პარიზიდან სხვა-და-სხვა აპარატები კაცის ჯან-ღონის და ჰაერის გამოსაკვლევად და გასაშინჯად. ერთი ბაქანიდან დაათვალიერა მიდამო ადგილები და სთქვა: „დღემდის ერთი ადგილი იყო ბაკურიანის რკინის გზაზე, რომელსაც ეწოდებოდა очарованіе-ო, მაგრამ მეორეც კიდევ აქ ყოფილაო“. ექიმს ღამბაშიძეს უსურვა გამარჯვება და უთხრა, რომ მეორედ კიდევ გესტუმრებითო.

*** გენ.-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა, მისს უდიდებულესობას 23 ივლისს: „22 ივლისისათვის იაპონელთა მოწინავე რაზმები ხაიჩენიდან 15 ვერსის მანძილზე, ჩრდილოეთით, იდგნენ. მტრის ძლიერი ჯარი მიდის მდინარე სიდახიას ხეობისაკენ და მიაღწია ტანკანძიმდე, ხაიჩენიდან 20 ვერსის მანძილზე, აღმოსავლეთით. აღმოსავლეთის ფრონტზე იაპონელები გროვდებოდნენ ლიაოიანის დიდ გზაზე, ხოლუნგოფს მიდამოებში. მათი მოწინავე რაზმი ერდახენი სდგას (ლიანდიანსიანიდან 5 ვერსის მანძილზე სამხრეთ აღმოსავლეთით). იაპონელთა დიდძალი ჯარი სდგას აგრეთვე გუძიაძი-ბენსიხუსიახენ-ფრანციპუძას მიდამოებში. ბენსიხუსთან მტრის მოწინავე რაზმი ისევ დაბანაკებულია მდ. ტაიძახეს მარცხენა ნაპირზე და უჭირავს ხეობაში გამოსასვლელი ვიწრო ხეები. იაპონელთა მოწინავე რაზმის ერთი როტა (100 კაცამდე) ბენსიხუს ახლო გადავიდა მდინარის მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ უკუგდებული იქმნა და 22 ივლისს ისევ მარცხენა ნაპირზე დაბრუნდა, სიაოსირს-კი თავი დაანება. მტერს ჯერ კიდევ უჭირავს ციანჩიანი:.

*** („რეიტ. საგ.“). ოფიციალური ცნობა. სიმუჩენთან მყოფ ჯარიდან იუწყებიან, რომ სიმუჩენის ბრძოლაში იაპონელებს მოუკლეს 1904 და დაუჭრეს 650 კაცი. იაპონელებმა შესაფერის პატივით დასაფლავეს 700 რუსი და ხელთ ჩაიგდეს 6

ზარბაზანი, მრავალი თოფი, ყუმბარა, დიდძალი ფქვილი, ქერი და სხვა სურსათი.—კუროკი იუწყება, რომ კუშულინძსა და იანზელინთან მომხდარ ბრძოლებში ჩვენმა ჯარმა დაჰკარგა 906 სალდათი და 40 აფიცერი; რუსებმა დაჰკარგეს, სულ ცოტა, 2 ათასი კაცი; რუსის 8 აფიცერი და 149 სალდათი ტყვედ წამოვიყვანეთ. ხელთ ჩავიგდეთ ორი საველე ზარბაზანი, მრავალი თოფი, ყუმბარა და კარავი. რუსებს განსაკუთრებით დიდი ზარალი მოუვიდათ 18 ივლისს ფხალინის უღელტეხილზე, კუბილინის სამხრეთით 5 მილის მანძილზე. იაპონელები შემოერტყნენ უკან დახეულ რუსის რაზმს, რომელშიაც 3 ქვეითა პოლკი და 4 ზარბაზანი იყო, და ყოველის მხრიდან საოცრად დაუშინეს ყუმბარები. ბრძოლის ველზე გაჩნდნენ წითელის ჯვრის ბაირაღით რუსის სანიტარები, ამ დროს იაპონელებმა სროლა შეაჩერეს და რუსებს ნება მისცეს დაჭრილები წაეღოთ.

*** 16 ივლის დილის 10 საათზე, როცა შინაგან საქმეთა მინისტრი ბალტიის რკინის გზის სადგურზე მიდიოდა პეტერგოფს წასასვლელად. იზმაილოვის პროსპეკტზე ვიღაც კაცმა, რომელიც ტროტუართან იდგა, მინისტრის კარეტას ქვეშ ყუმბარა შეაგდო, რომელიც გასკდა და მოჰკლა მინისტრი და მისი მეეტლე გლეხი ფილიპოვი. შემთხვევით იქ დამსწრეთა შორის მძიმედ დაიჭრა სემენოვის პოლკის კაპიტანი ცვეტინსკი; დაიჭრნენ აგრეთვე სალდათი ფრიზენბურგი, კანტორაში მოსამსახურე მოშკოვსკი, მეეტლე რიანოვი, მღებავი ხრომცოვი, არტელჩიკი აფანასევი, ნიკოლაევის რკინის გზის კანტორაში მოსამსახურე ლავრენტიევი, ტიმოფიევის ქალი, მისი შვილის შვილი, სამი წლის ბავშვი და სათადარიგო ჯარის კაცი ვარტმანი. მკვლელი, რომელიც ყუმბარის აფეთქების დროს რამდენიმე ალაგას მსუბუქად დაიჭრა, იქვე დააპატიმრეს. მკვლელმა თავისი სახელი არ გამოაცხადა. ამ საქმის გამოძიებას შეუდგა პეტერბურგის ოლქის სასამართლოს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი.

*** გაზეთ „კავკაზ"-ში დაბეჭდილია: „25 ივნისს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა მინისტრთა კომიტეტის დადგენილება, რომლის ძალით სახელმწიფო წეს-რიგის გაძლიერებული დაცვის დებულება ქალაქებ ტფილისსა, ბათუმს, ბაქოს (მაზრითურთ), განჯას, ნუხას, შუშას და ალექსანდროპოლში უნდა დარჩეს კიდევ ერთის წლით, ე. ს. 1905 წლის 5 სექტემბრამდე".

*** აგვისტოს შუა რიცხვებში პეტერბურგს მოხდება რუსეთის ყველა სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა კრება. კავკასიის ოლქის მზრუნველი, ბ-ნი ზავადსკი, როგორც «კავკაზ»-ი გადმოგვცემს, აგვისტოს პირველ რიცხვებში გაემგზავრება პეტერბურგს.

*** ამიერ-კავკასიის საპოლიციო-საერობო დარაჯთა შესანახად მომავალ სამი წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდა გადაიდება ყოველ წლობით 2.362.460 მან.

*** ამიერ კავკასიის რკინის გზის გამგეობამ უბრძანა სადგურის უფროსებს, აცნობოს იმ მოსამსახურეთა ქვრივებსა და ობლებს, რომელნიც 1904 წლის პირველ იანვრამდე გარდაიცვალნენ, გამოცხადნენ რკინის გზაზე საპენსიო კასიდან დამატებით თანხის მისაღებად.

*** როგორც „პრავ. ვესტ."-შია გამოცხადებული, წელს სამხედრო ბეგრის მოსახდელად ჯარში გაწვეული იქნება ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქიდან—3416 ყმაწვილი კაცი, ქუთაისის გუბერნიიდან—3727 კაცი, ბათუმის ოლქიდან—47 კაცი და ჩერნომორის გუბერნიიდან—168 კაცი. მთელს რუსეთში წელს ჯარში გაწვეული იქნება 447,402 ყმაწვილი კაცი.

*** კავკასიაში ძველ გზების შესაკეთებლად და ახალ გზების გასაყვანად საერობო თანხიდან გადაიდო 280,322 მანეთი. კერძოდ ახალ გზებისათვის გადაიდო 94,349 მან.

*** აგვისტოს შუა რიცხვებში ტფილისში მოხდება კრება სახალხო სკოლების მასწავლებლებისა. ამ კრების მოწვევა და მოწყობა სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაავალა ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლის დირექტორს შულგინს, ხოლო ხელმძღვანელობა—მასწავლებელთ ვერესოვსა და სტანიშევსკის.

*** მდგომარე წელს შემოდგომიდან სოხუმში არსდება რეალური სასწავლებელი. მთავარ-მართებლის შუამდგომლობის თანახმად, უმაღლესმა მთავრობამ გადასდო ამისთვის საჭირო ფული.

*** 26 ივლისს გუბერნატორის თავმჯდომარეობით, მოხდა საგუბერნიო სასანიტარო კომისიის სხდომა. რადგან ბაქოში ხოლერა უკვე გაჩნდა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიტარო კომისია ჰფიქრობს საჩქაროდ სხვა-დ-სხვა ზომების მიღებას.

*** როგორც «ნოვოსტი»-ს სწერენ, ყაზანში მოპარულ ღვთის-მშობლის ხატს ბევრი ძვირფასი ნივთები ჰქონდა, ასე რომ ეს ხატი 100,000 მანეთზე მეტად ღირდა თურმე. ამ ხატის ისტორია 1579 წლიდან იწყება. იმის დასაჯილდოებლად, ვინც ქურდს იპოვნის, გადადებულია 4000 მანეთი. ამავე გაზეთის სიტყვით, ქურდის კვალისთვის უკვე მიუგნიათ. ქურდი, როგორც ამბობენ, ვიღაც ჩაიკინია, ჩაიკინის დედას უთქვამს, ჩაიკინმა და იმისმა საყვარელმა ხატი დასწვეს აქ ბუხარში, ხოლო ნივთები დამალესო. ზოგიერთი ნივთი უპოვნიათ კიდეც. ჩაიკინი ცნობილი ქურდი და ავაზაკი ყოფილა. როდესაც დაიჭირეს, ჯიბეში ათი სხვა-და-სხვა პასპორტი აღმოაჩნდა.

*** ვ ივლისს სარატოვის მახლობლად ერთ გორაკზე საიდუმლო ხატი აღმოჩნდა. ეს ამბავი ხელად მოედო ქალაქს. ხმა გავრცელდა, ყაზანის ღვთის მშობლის ხატი სასწაულებრივ გამოეპარა ქურდებს და აქ მოვიდაო. დილიდან აუარებელი ხალხი გაუდგა გზას ხატის სანახავად. მალე მთელი გორა ხალხით გაივსო; შეიკრიბა რამდენიმე ათასი ქალი და კაცი. გორაზე ხალხს დაჰხვდა ჯვარი, ხოლო ჯვრის შუა გულში ხატი ყაზანის ღვთის მშობლისა, რასაკვირველია, სხვა და არა ის, რომელიც მოიპარეს. ხალხი მოწიწებით ჰკოცნიდა ხატს, უვლიდა გარეშემო და ლოცულობდა. მიჰყვანდათ კოჭლები, უსინათლოები, დასახიჩრებულნი. ხატის წინ მიწაზე მალე მთელი გორა გაჩნდა სპილენძისა და ვერცხლის ფულისა. ხელად გაჩნდნენ ჯვრებისა, სასულიერო შინაარსის წიგნაკებისა და სურათების გამყიდავნი და გაჩაღდა ვაჭრობა. ჯერ არ იციან, ვინ აიტანა გორაკზე ხატი. დაუნახავთ-კი, რომ ორი კაცი ასულა და შესდგომია იქ მუშაობას. საღამოთი ხატი ადგილობრივ ეკკლესიაში გადაუტანიათ, მაგრამ ხალხი შუა ღამემდე არ დაშლილა.

*** ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი სტავროპოლის სემინარიის ინსპექტორის თანაშემწინს ტრიფონ ჯაფარიძისაგან: **მ. რ.! საწყალად გრაცხ განცხადოთ დადგენილება სტავროპოლის სასულიერო სემინარიის პედაგოგიური რჩევისა იმის შესახებ, რომ მოძავადი სამოსწავლო წელ' მისაღები ეგზამენები დაიწყება 23 აგვისტოს და გათავდება 26. შემდეგ თხოვნები აღარ მიიღება და აღარც გაირჩევა. აცნობეთ ყველას თქვენი გაზეთის შემწეობით, მით უმეტეს, რომ შარშანდელმა მაგალითმა არავინ შეაცდინოს. შარშან სხვა მოსაზრებით გამოსწორდა მათი საქმე ვინც დაიგვიანა.**

მისაღები ეგზამენები 1 კლასისთვის იქნება: 1) წერითი—სიტყვიერებაში, 2) ზეპირი—კატეხიზმში, არითმეტიკაში და რუსულ ენაში სლავიანურიანით.

რედაქციის პასუხი.

მ. ო. მინდელს. თქვენგან ფული არ მიგვიღია ამა წლისა და გაზეთი მიტომ არ იგზავნება თქვენს სახელზე,

მდ. მ. გეგეჭკორს. ისეთი სასულიერო მოამბე, რომელიც მარტო სასულიერო საგნებზე ბეჭდავდეს სტატიას ჩვენში ვგონებ არ არსებობს. ძალის ხმარება კაცის მოქცევისათვის სახარების წინააღმდეგია. მღვდელი თავის ცხოვრებით სამაგალითო უნდა იყოს სამწყსოსათვის და მის სიტყვას ყოველთვის გავლენა ექნება. რაც ითქვა იმ მახინჯ კალენდარზე კმარა.

მდ. ი. შუბლაძეს. ვინაიდგან ქართულ ენაზე კიდევ ლაპარაკობენ და კითხულობენ ჩვენში, უმჯობესია მართლად ვსწეროთ და ვილაპარაკოთ ხალხთან და გაზეთსაც პასუხი მართლად გავსცეთ. რუსული ენით საპიროა ჩვენი გაჭირვება გავაგებინოთ ვისიც რიგია თორემ ჩვენს სიგლახესა და სისუსტეზე უჩვენოდაც მეტს ამბობენ და სწერენ, და ჩვენი დახმარება რაღა საპიროა. აი ჩვენი ჟურნალის პროგრამმა: რა ვიყავით, რა ვართ და რა მოგველის? ამ პროგრამაზე დაწერილს სტატიებს დიდის სიამოვნები მივიღებთ ჭ ადგილს მივსცემთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„პატარა-ცემი-“ს
საზაფხულო სამყოფი
(Colonie des vacances. Feriencolonien.)

ექიმის ვახტანგ დ. ღამბაშიძისა

მოზარდ ქალ-ვაჟთათვის
ასაკით 8—16 წლამდე.

პატარა-ცემი მდებარეობს ბორჯომის ახლო, ბაკურიანის რკინის გზაზედ, სადგურ ნიკოლაევსა და საკოჭავს შუა, მაღლობ-ვაკეზე, ფიქვნარში, 4400 ფუტის, ანუ 1300 მეტრის სიმაღლეზე, 230 ფუტით მაღლად აბასთუმანზე.

ამ ზაფხულს გაიმართა ხსენებულ ადგილს მოზარდ ქალ-ვაჟთათვის „**საზაფხულო სამყოფი**, იმის მიბაძვით, როგორც ეს დიდის ხნიდგან შემოღებულია ევროპაში.

ამგვარ დაწესებულებას **მიზნად აქვს**: ბავშვების დასვენება, ჯანმრთელობის მოლონიერება, სხეულის გამაგრება და ფიზიკური კეთილ-დღეობის მოხვეჭა მომავლისათვის, რომ მოზარდის სხეული ასცდეს მრავალ მავნებელ ვითარებას და მედგრად დაუხვდეს მოსალოდნელ ავად-მყოფობას.

მთა-ადგილის ჰაერის სიმჩატე, სისუფთავე და სხვა ბუნებრივი თვისება კარგად მოქმედებს ყოველ აგებულებაზედ, და განსაკუთრებით მარგებელია მათთვის, **ვინც არის**:

სისხლ-ნაკლები, დასუსტებული, მოქანცული ან ცხოვრების შეუფერებელ პირობებით, ან ხშირის ავად-მყოფობით, ვინც ნაავად-მყოფარია, და საკმაოდ მოლონიერებული არ არის, მეტადრე ვისაც გამოვლილი აქვს ფილტვის რომელიმე ავადმყოფობა; აგრეთვე ვინც მადა-დაკარგულია, ნერვებ-აშლილი, ჭაობის ცივებით (მალარიით) შეპყრობილი, ვისიც ზრდა რაიმე მიზეზით დაჩაგრულია, ვისაც საკმარისი საზრდოობა არა აქვს და ვისი სხეულიც დაძაბუნებულია.

ხანგრძლივის გამოცდილებით გამოირკვა და დამტკიცდა, რომ ყოველ ზემოხსენებულ ნაკლს, რასაკვირველია რამდენადაც ეს შესაძლოა ბუნებისათვის, სხვაგვარ წამლობაზედ უფრო **რიგიანად ჰკურნავს მთის ჰაერი, დასვენება, უხვი საზრდო და ვარჯიშობა.**

გარდა ამისა, ვინც ქალაქის უსუფთაო და შეხუთულ ჰაერში სცხოვრობს, მათთვისაც **უსაჭიროესია** წმინდა ჰაერზე დასვენება, ღონის მოხვეჭა და სხეულის გამაგრება, რომ ავადმყოფობამ მერმისში ადვილად არ იგდოს ხელთ და არ დასჩაგროს.

საზაფხულო სამყოფში **მიიღებიან** ორივე სქესის მოზარდნი 8—16 წლამდე, ვის ჯანმრთელობასაც რომელიმე ზემოხსენებული ნაკლი აქვს, აგრეთვე ისინი, ვისაც დასვენება ჰსურს.

არ მიიღებიან: მწოლიარე ავად-მყოფნი, რომელიმე გადამდებ სენით შეპყრობილნი, არც ფილტვების სიჭლექით დაავადმყოფებულნი; არც ისინი, ვისაც რომელიმე მიზეზისა გამო მაღალ მთა-ადგილს ყოფნა სარგებლობას ვერ მოუტანს, მაგალ. გულით ავადმყოფნი, ქარებით (რევმატიზმით) დაავადმყოფებულნი და სხვ.

ექიმობა და წამლობა არის უმთავრესად ბუნებრივი და ჰიგიენური: წმინდა მთის ჰაერი, დასვენება, უხვი და ნოყიერი საზრდო, სხეულის ყოველგვარი ვარჯიშობა: სხვა-და-სხვა გვარი შექცევათამაშობა, სეირნობა, მოგზაურობა, გასართობი მუშაობა, ბანაობა, საერთოდსაუ კეთესო ჰიგიენურ პირობებში ცხოვრება, ყოველივე შეფარდებული კერძოდ თვითეულ ბავშვის აგებულებასთან, ექიმის ხელმძღვანელობით.

გადაჭარბებული საზრდოება, თვითეულის აგებულებასთან შერჩეული, დღეში ექვსჯელ.

საზაფხულო სამყოფის ერთხელვე დადგენილი წეს-რიგი, რომელსაც მოზარდნი ადვილად ეჩვევიან და საშემდეგოდაც ითვისებენ, ყველასათვის სავალდებულოა. ვინც არ დაეთანხმება ამ წესებს, მან უნდა მიატოვოს ეს სამყოფი არა უგვიანეს ერთის კვირისა.

მოზარდნი არიან **დაყოფილნი ჯგუფებად**, სქესისა, ასაკისა და წლოვანების მიხედვით. თვითეულ ჯგუფს ჰყავს საკუთარი თვალ-ყურის-მგდებელი და ყველანი საერთოდ იმყოფებიან ექიმის მუდმივ ხელმძღვანელობაში.

საზაფხულო სამყოფის ხანად განსაზღვრულია **ოცი თვე**: 15 ივნისიდგან 15 მარიამობისთვემდე. მსურველთათვის ეს ხანა შეიძლება უფრო გაგრძელებულიც იქნეს.

პირადად ანუ წერილით ამ საქმის შესახებ ყოველგვარ ცნობების შესატყობად **მსურველთ** შეიძლება **მიმართონ** ექიმს ვახტანგ დავითის ძეს ღამბაშიძეს ბორჯომით, პატარა-ცემს.

თუ პირადად ჩვენება მოუხერხებელია, უნდა გვაცნობონ, ადგილობრივის ექიმის გასინჯვით, რა სნეულება აქვს იმ მოზარდს, რომლის დაბინავებაც ჰსურსთ საზაფხულო სამყოფში.

მისასვლელი გზა საზაფხულო სამყოფში: ბორჯომიდგან მე-25 ვერსზე, ბაკურიანის რკინის გზით სადგურ ნიკოლაევოსთან, საკუთარის ბაქანით, რომელიც არის თვით საზაფხულო სამყოფის წინ.

მატარებლის მიმოსვლა: ბორჯომიდგან გადის დილის 8 ს. 58 წ. და ნაშუადღევის 5 ს. 28 წ. „პატარა-ცემს“ მიდის: 1) დილის 11 ს. 13 წ. და 2) საღამოს 7 ს. 32 წ.

პატარა-ცემიდგან: ნაშუადღ. 1 ს. 19 წ. და საღამოს 9 ს. 43 წ. გადის.

ბორჯომში მოდის: 1) ნაშუადღ. 3 ს. 29 წ. და 2) 11 ს. და 33 წ.

ვისაც სურს, შეუძლია მოვიდეს პატარა-ცემს, ბორჯომში ღამის-გაუთევლად, დარჩეს იქ 2 საათსა და 10 წამს და იმავე დღეს დაბრუნდეს; ხოლო ვისაც მეტის ხნით მოესურვება პატარა-ცემს დარჩენა, შესაძლოა დილის მატერებელით ასვლა ბორჯომიდგან და საღამოს დაბრუნება. მაშინ პატარა-ცემს 9 საათითა და ნახევრით შეიძლება დარჩენა:

მიმოსვლა ღამის გაუთევლად:

თბილისიდგან დილის 8 ს. 58 წ., ხაშურიდგან 1 ს. 28 წ., ბორჯომს 2 ს. 20 წ. ბორჯომიდგან 5 ს. 28 წ. ბათუმიდგან დილის 6 ს. 4 წ., ფოთიდგან 6 ს. 48 წ., ქუთაისიდგან 9 ს. 43 წ. ყვირილიდგან 11 ს. 31 წ. ხაშურიდგან 3 ს. 3 წ. ბორჯომს 3 ს. 55 წ. ბორჯომიდგან 5 ს. 28 წ.

შინაარსი:—**სალიტერატურო განყოფილება**: ეკლესიების შენობის საქმის შეფერხების შესახებ ქუთაისის გუბერნიაში, დეკ. და ღამბაშიძის.—ეკლესია, თარგ. ს. გორგაძისა.—სოფლის სამღვდელოება და მისი ასავალ დასავალი, მღ. ბ.—შინაგან საქმეთა მინისტრის ვ. კ. პლევეს მოკვლა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები.—განცხადება, პატარა ცემის სანანატორია.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій 30 Іюля *1904 г.*

Типог. редакціи журн. **„Пастырь“** (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.